

---

სამნათმეცნიერო

კობახიძე



Linguistic

Papers

---

ტატიანა გოშენოსი

როგორ სრულვყოთ ფრანგული ენა, როგორც  
უცხო ენა საფრანგეთში ყოფნის ღროს

მთარგმნელი ქეთევან ჯაში

### 1. არსებული მდგომარეობის აღწერა.

- საკმარისი არაა იცხოვრო საზღვარგარეთ, რომ სრულყოფილი გახდეს ის უცხო ენა, რომლის სპეციალისტიც ხარ.
- განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმას, თუ როგორ გამოვხატოთ საკუთარი აზრი.

### 2. რა ტიპური პრობლემები იჩენს თავს უცხო ენის შემთხვევაში?

- ძლიერი უცხო აქცენტი.
- სურვილი თარგმნო უცხო ენაზე მშობლიური ენის სიტყვები და გამოთქმები.
- ენის მატარებელთა კულტურისა და წეს-ჩვეულებების არცოდნა (იქნება ეს გამოცანები, ქვეყნის ისტორია, სატელევიზიო გადაცემები, საყვარელი მულტფილმები, ფილმები, წიგნები, მომღერლები, ახალგაზრდა თაობის კერპები, განათლების შესახებ არსებული ინფორმაცია, და ა.შ.).
- უცხო ენაზე მყარი გამოთქმების, ანდაზების, ლიტერატურული ნაწარმოებებიდან ციტატების, ფრაზეოლოგიზმებისა და ა.შ. არცოდნა ან მათი გადაჭარბებული გამოყენება.
- ამა თუ იმ სფეროში ტერმინოლოგიის არცოდნა, ის, რაც ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოიყენება (იურიდიული, მუსიკალური თუ ტექნიკური და ა.შ.)

### 3. როგორ ავიცილოთ თავიდან შეცდომები?

- არ შეიძლება წარმოვთქვათ მშობლიურ ენაში არსებული საკუთარი სახელები ყოველგვარი უცხო წარმოთქმის მინიჭების გარეშე.
- არ შეიძლება გადავთარგმნოთ ზოგიერთი გამოთქმა მშობლიური ენიდან უცხო ენაზე პირდაპირ. უნდა ვიცოდეთ როგორ გამოვხატოთ სწორად იგივე აზრი უცხო ენაზე.
- არ შეიძლება გამოვიყენოთ ფრაზეოლოგიზმები ისე, რომ არ ვიყოთ დარწმუნებული მათ სისწორეში.
- არ შეიძლება აღვრიოთ ენის სხვადასხვა რეგისტრი, გადავტეხულად გამოვიყენოთ ჟარგონული თუ უწმაწური სიტყვები.

#### 4. ზოგიერთი აუცილებელი პრინციპი.

- არასოდეს არ ვიკითხოთ, თუ როგორ ითარგმნება ესა თუ ის გამოთქმა ან სიტყვა უცხო ენაზე. მივაქციოთ ყურადღება, თუ როგორ იტყოდა უცხოელი იმავეს მოცემულ სიტუაციაში.
- უნდა ვიყოთ ძალიან ყურადღებით ენის მატარებლებთან საუბრის დროს. შევარჩიოთ გარემოება და ადამიანთა რეაქცია. არ ვეცადოთ დავიზებუროთ ვაგონილი გამოთქმები ან პირდაპირ ვთარგმნოთ ისინი მშობლიურ ენაზე სიტუაციის გათვალისწინების გარეშე. შევეცადოთ ისინი დავიმახსოვროთ კონტექსტში.
- სთხოვეთ ენის მატარებლებს შეგისწორონ შეცდომები საუბრის დროს. გაიმეორეთ სწორი ფორმა, რათა ზეპირად დაიმახსოვროთ ჭერ სიტყვის მელოდიკა, შემდგომ კი ლექსიკა.
- თუ ვერ პოულობთ ზუსტ შესატყვისს, მთლიანად მოახდინეთ წინადადების ხელახალი ფორმულირება და შემდგომ იკითხეთ, თუ როგორი იქნება მისი სწორი ფორმა უცხო ენაზე.
- ყოველი უცხო სიტყვა თუ გამოთქმა ახსენით ფრანგულად, არ დაკმაყოფილდეთ მათი მხოლოდ მშობლიურ ენაზე თარგმნით.
- გამოიყენეთ უცხო ენა, როგორც კომუნიკაციის საშუალება. დაივიწყეთ სიმორცხვე, მონაწილეობა მიიღეთ თქვენთვის

უცხო თემის განხილვაში. ნუ დაკმაყოფილდებით მხოლოდ ბანალური ყოველდღიური საუბრებით, ივარჯიშეთ ჭერ ისეთ საკითხებზე მსჯელობით, რომლებიც თქვენთვის ნაცნობია, შემდეგ გადადით ფილმების რევიუმებზე, სატელევიზიო გადაცემებზე, წაკითხულ სტატიებზე, ამა თუ იმ მოვლენებსა და სხვა.

#### 5. უფრო მეტად გავითვალისწინოთ ESIT<sup>1</sup>-ის მიზნები

- ჯგუფური მუშაობის დროს განიხილეთ ყველა ტიპის თემები: ეკონომიკური, იურიდიული, პოლიტიკური, ასევე სპორტი, არქიტექტურა, მებაღეობა, სამზარეულოს რეცეპტები და სხვა.
- მოამზადეთ უცხო ენაზე სტატიების რევიუმები, შეეცადეთ ისინი არ თარგმნოთ მშობლიურ ენაზე.
- ივარჯიშეთ იმაში, რომ გადმოსცეთ ლექციისა და კრების მოკლე შინაარსი, როგორც ზეპირად ისე წერილობით.
- აუხსენით უცხოელს სტატიის ან რომანის მოკლე შინაარსი და თან სთხოვეთ გაგაჩეროთ, როდესაც ის ვერ გაიგებს, რას ამბობთ.
- ენის მატარებლის თანდასწრებით იკითხეთ ხმამაღლა სტატიები ჟურნალებიდან, რომანები, ლექსები და სხვა.
- გაიმეორეთ ზედიზედ ტელევიზორში ან რადიოში წარმოთქმული ორი ან სამი წინადადება ისე, რომ ზეპირად არ დაიმახსოვროთ, მაგრამ ყურადღება მიაქციეთ მელოდიკას და წინადადებების ბმულობას.
- შეეცადეთ სხვადასხვანაირად თქვათ ერთი და იგივე რამ უცხო ენაზე ისეთი სახით, რომ ენის რეგისტრი სხვადასხვა იყოს. უცხო სიტყვა დაიმახსოვრეთ მხოლოდ კონტექსტში.
- შეეცადეთ თარგმნოთ ქართულად სასაცილო ამბები, ანეკდოტები. გამოიყენეთ ფრანგული ენა, რომ გამოიწვიოთ ენის მატარებელთა რეაქცია. იყავით კრიტიკული საკუთარი თა-

<sup>1</sup> ESIT - École supérieure d'interprètes et de traducteurs — მთარგმნელ-თარჯიმანთა უმაღლესი სკოლა

ვის მიმართ. შეასწორეთ საკუთარი შეცდომები, რომ მეტი აღარ დაუშვათ ისინი.

- მიბაძეთ უცხოელთა ინტონაციას, მსჯელობის მელოდიკას. მიაქციეთ ყურადღება, თუ როგორ სვამენ უცხოელები შეკითხვას, როგორ დაობენ, როგორ გამოხატავენ მოწონებას, როგორ მიმართავენ სხვას, რა მიმიკას და რა შესტებს იყენებენ. მოახდინეთ ყოველივეს ანალიზი.
- იკითხეთ ფრანგულად ლექსები და თუ სურვილი გაქვთ, ისწავლეთ ზეპირად ლექსები და სიმღერები.

#### ნ. იუავით აქტიური, ყურადღებიანი, გამოხატეთ თქვენი აზრი და უსმინეთ სხვებს.

- გამოიყენეთ კონტექსტი. ტექნიკური ტერმინი კი არ დაიხეპიროთ, არამედ ჩასვით მაშინვე კონტექსტში.
- აზრი გამოთქვით მარტივი წინადადებით. განსაკუთრებით დასაწყისში, რათა თქვენი ნათქვამი გასაგები იყოს და არ გამოიწვიოს ღიმილი ან სიცილი.
- ისაუბრეთ აუცილებლად ადგილობრივ მაცხოვრებლებთან, დალაქთან, მეფუნთუშესთან, ექიმთან, ყასაბთან, განსაზღვრეთ მიღებული გამოთქმები.
- დიდი ყურადღება გამოიჩინეთ ტელეფონზე საუბრის დროს. განსაკუთრებით ადმინისტრაციული საკითხების გადაჭრის დროს, წერილების წერისას ანდა ანკეტების შევსების დროს და სხვა.
- ისაუბრეთ. დასვით შეკითხვები. მოჰყევით თქვენი ცხოვრება. ახსენით რეალობა ან თქვენი ქვეყნის წეს-ჩვეულებები და შეადარეთ ისინი ფრანგულ წეს-ჩვეულებებს ისე, რომ არ გამოიყენოთ მშობლიური ენა.
- იქონიეთ დღიური და შეავსეთ ფრანგულად, აღწერეთ თავს გადამხდარი ამბები.
- ხმამაღლა თქვით ის, რის გაკეთებასაც აპირებთ. მაგალითად: ავჯდები მეტროში, ვსაუზმობ, პურის ყიდვა არ დამავიწყდეს და ა.შ.
- არ დაკმაყოფილდეთ ნასწავლი სიტყვებისა და გამოთქმების მხოლოდ გამეორებით, ყოველთვის გამოიყენეთ ისინი სიტუა-

ციაში. გამოყავით ყველა შესაძლო ვარიანტი და მასზე პასუხის გაცემის ხერხები.

- დაითვალეთ ყოველთვის ფრანგულად, როცა კი ამის საშუალება გექნებათ.

#### დასკვნა:

- უცხო ენას სწავლობენ და სრულყოფენ არა აბსტრაქტულად, არამედ მაქსიმალურად არსებულ შესაძლო სიტუაციაში.
- ყოველთვის იმოქმედეთ და ისაუბრეთ უცხო ენაზე ისე, რომ არ იყოთ დამოკიდებული მხოლოდ მშობლიურ ენაზე.

T. GOZHENMOSS

#### How to Master French as a Foreign Language when in France

Translated from French by Ketevan Jashi  
Summary

The paper discusses the issue of how to master the French language while staying in France. The paper contains some pieces of advice how to avoid phonetic, grammatical, stylistic and semantic mistakes, how to enrich vocabulary and how to achieve maximum perfection.